წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა, 13 ნოემბერი

სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონს პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტი წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ [illegible] დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 484 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, № 484

7 ნოემბერს დაბა ყვირილაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **დიაკონის დავით ლამბაშიძის** ქვრივი

ოლღა ნიკოლოზის ასული ლამბაშიძისა,

რასაც უგულითადესის მწუხარებით და გლოვით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის, შვილები: ქსენოფონტე, ვახტანგ, მიხეილ და დავით, რძლები: პელაგია და ვანდა და შვილისშვილები. პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკ. სახლიდგან წმ. დავით და კონსტანტინეს ეკლესიაზედ კვირას 13 ნოემბერს $9^1/_2$ საათზედ. დაკრძალვა იმავე დღეს 3 საათზედ წმ. ნინოს სასაფლაოზედ.

ქვრივი მარიამი თავის შვილებით, დედა კნეინა მარიამ დადიანის ასული, ძმები: სანდრო და ანდრო წულუკიძეები, დები, აგრაფინა და თედოსია წულუკიძის ასულნი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 10 ნოემბერს, ღამის 11 საათზე ტრაღიკულათ გარდაიცვალა

კოწია იასონის ძე წულუკიძე

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე პოლიციის ქუჩა საკუთარი სახლი.

დები ევა, ზინა, ნათელა და ნატაშა ისიდორე დოღონაძის ასულნი, სიძეები სერგო გვინჩიძე, იასონ დოლრაშვილი, რომანოზ ხანთაძე და აკაკი ჩიხლაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და კეთილნაცნობებს, პირველნი უსაყვარლესი ძმის და მეორენი ძვირფასი ცოლის ძმის, **პორუჩიკის**

სილიბისტრო ისიდორეს ძე დოღონაძის

უდროოდ დაკარგვას, რომელიც მოკლული იქმნა კავკასიის ბრძოლის ველზე, საიდანაც ჩამოსვენებულ იქმნა ქუთაისში 10 ნოემბერს. დასაკრძალავათ გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან, საფირჩხიის აგარაკიდან, დღეს, 13 ნოემბერს, კვირას ნაშუადღევის 3 საათზე. დაიკრძალება საფირჩხიის სასაფლაოზე.

დღეს, კვირას, 13 ნოემბერს ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი აბასტუმანში გარდაცვლილი ექიმ ძნელაძის ვაჟის

სტუდ. ლ. მ. ძნელაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ დეიდა ან. გრ. ასული კლდიაშვილისა, თამარა მიხ. ასული გრიგოლ და ლევან მიხეილის ძენი ძნელაძეები. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

ქმარი პროვიზორი იოსებ ეგნატეს ძე, შვილები ლილი და ირა, დედამთილი ალათი და მული ნადია ვაშაკიძენი, დედა ეკატერინე, ძმა ტიმოშა და რძალი ტატიანა რაფალსკები და მული კესარია ეგნატეს ასული გუგუშვილისა, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ დღეს, კვირას, 13 ნოემბერს ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი

საშა (იგივე ალექსანდრა) ათანასეს ასული ვაშაკიძის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი დაიწყება 10 საათზე.

პარასკევს, 11 ნოემბერს, ღამის 2 საათზე გარდაიცვალა ბედიის მონასტრის

მღვდელ-მონაზონი იოსები,

რასაც ბედიის მონასტრის ძმობა გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას. დაკრძალვა მოხდება 13 ნოემბერს.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 ნოემბრიდან 1916 წ. დიდი მხატვრული სურათი

ჯ ა ს ო

დრამატიული პიესა 6 ნაწილად. კ. კრაშენნიკოვის სცენარიის მიხედვით. მთავარ როლს მოსკ. სამხატვრო თეატრის მსახიობი ქალი ო. გზოვსკაია ასრულებს.

მიმდინარე ამბები **ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები

ანონსი: ხუთშაბათიდან, 14 ნოემბრიდან:

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

სისხლის მსმელი (თავი) ფჰენად და მერსის რომანის პირველი სერია.

სახუმარო. **რომელი!?** სახუმარო.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა:

მიმდინარე ამბები **ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები

წარსულის ახრდილი!

(ბრაგის სურენადა). დრამა 4 ნაწ. პანოვისა, რიმსკისა, ლისენკოსა და ორლოვას მონაწილეობით.

უნდა დავქორწინდე

სახუმარო ფერადებით, პრენსის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან

რუსის ჯარი საფრანგეთში სამხედრო სურათი ნამდვილიდან.

ბედნიერება კი შესაძლებელი იყო

დრამა 5 ნაწილად, ლისენკოს, მოზჟუხინისა და პანოვის მონაწილეობით.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 19.

კვირა, 13 ნოემბერი 1916 წ.

შილლერი:

ყაჩაღები

დრ. 5 მ. თარგმ. ნ. ავალიანისა.

მონაწილენი: ქ-ნი მდივანი მ.
ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მორიგე წევრი გამგეობისა ქ. მეფისაშვილის ასული
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ჰუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ექიმი ი. ჩარიქოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხნოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. სად. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ მარჩენ** თავზე განის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასად გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკაიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
ც-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

მსოფლიო ომი.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

11 ნოემბერი

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მთელ ბრძოლის ხაზზე ზარბაზნებისა და თოფების სროლაა. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლა სწარმოებს დიდსა და პატარა პორცკის მიდამოებში, მდ. ნარაიუვკაზე; სვისტელნიკის და იეზუპოლის მიდამოებში.

კავკასიის ასპარეზი.

არსებითი არაფერი მომხდარა.

რუმინეთი. ტრანსილვანიაში მდგომარეობა არ შეცვლილა.

დუნაის ასპარეზი. დობრუჯაში მოწინავე რაზმების მოქმედებაა.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. უფრო ფიცხელი სროლა ზარბაზნებისა ვო-დიუმონის მიდამოებში სწარმოებს.

ლონდონი სერბიელების მთავარბანაკის ცნობა. სოფელი ბუდიმირიცი და მისი გარემო მაღლობები ავიღეთ. მაკედონიის ასპარეზზე გერმანელების გრენადერები მოვიდნენ და სუხოდოლის ჩრდილოეთით იერიშები მიიტანეს, მოვიგერიეთ. ხელთ ვიგდეთ 5 აფიცერი, 18 გერმანელი და 300 ბულგარელი ჯარის კაცი, მათ შორის პოლკის უფროსიც. ჩვენ და მოკავშირეებმა ავიღეთ სოფლები პორლოვი და დობრომირი.

რომი იტალიელების მთავარ ბანაკის ოფ. ცნობა იულიის ალპებში ზარბაზნების სროლა გაძლიერდა. მოპირდაპირემ ზარბაზნები დაუშინა გორიცას და მონფალკონს. მთელ ბრძოლის ასპარეზზე ცუდი ამინდია: ბარში სწვიმს ზოგიერთ მაღლობებზე ყინვა 24 გრადუსამდე აღწევს ცელსიით.

ლონდონი საადმირალო ოფიც. იტყობინება: 8 ნოემბერს დილით ინგლისის საჰოსპიტლო გემი „ბრიტანიკ“ ნაღმით დაიღუპა ზეას სრუტესა და ეგეის ზღვის შუა. 1,106 კაცი გადავარჩინეთ, მათ შორის 28 დაჭრილია. 50 კაცი დაიღუპა.

ათინა გუშინ ადმირალი დიურნიე მეფესთან სადარბაზოდ იყო და განუცხადა: ცენტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს 10 ნოემბერს წინადადება მიეცი ოთხშაბათამდე საბერძნეთი დასტოვონ. ასეთს საშვალებას იმისათვის მივმართეთ, რომ მათს დიპლომატიურ მოქმედებას დიდი ხანია მნიშვნელობა დაეკარგა და მხოლოდ ჯაშუშობას აწარმოებდნენ. ისინი თვალყურს ადევნებენ მოკავშირეთა ჯარის ზურგის მხარეს, ცნობებს ღებულობენ საბერძნეთის გემების თაობაზე და გემებიც მათი ხელმძღვანელობით იღუპებოდა. ოთხშაბათს გერმანეთისა, ბულგარეთისა და ოსმალეთის მისიის წევრი უნდა გამოცხადდნენ გემ. „მარიენბად“-ზე კერაცინის ნავთსაყუდელში. სადაც დროებით დარაჯებს მიუყენებენ.

დღეს სამეფო თათბირია დანიშნული მიმდინარე საქმეების განსახილველად, განსაკუთრებით მოკავშირეთა მიერ უკანასკნელად წარდგენილ მოთხოვნილებისა და იარაღის გადაცემის თაობაზე. ამ თათბირს დიდს მნიშვნელობას აძლევენ.

ლონდონი. თემთა პალატა. ლორდმა რობერტ სესილმა განაცხადა: მოკავშირე სახელმწიფოები შეთანხმდნენ თესალონიისა და სამხრეთ მაკედონიის ოლქების შუა ნეიტრალ ხაზის გაყვანის თაობაზე, რომელიც ვენიზელოსის ჯარს უჭირავს.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყო-

ბინებიან: რეიხსტაგს 12 ნოემბერს მოიწვევენ საგანგებო კრებაზე, რომელიც განიხილავს კანონ პროექტს საყოველთაო სამოქალაქო ბეგრისას.

ჰააგა. ხე-ტყით დატვირთული ნიდერლანდიის იალქნიანი გემი „სოლფონ"-ი, რომელიც ინგლისისაკენ მიემართებოდა, ნაღმით დაღუპეს. ზედმყოფნი გადაარჩინეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

— ნორვეგიის გემი „ვეგა" გერმანელთა წყალქვეშამ დაღუპა; გემზე მსახურნი, მეზღვაურნი და ძვირფასი ფოსტა გადაურჩენია ფოსტა გერმანელებს მიუსაკუთრებიათ.

— გერმანელებმა დაღუპეს ნორვეგიის სავაჭრო ნავი. „ვილლახი."

— ბისკაის ყურეში გერმანელთა წყალქვეშამ დანიის გემი „კაგნარო" ნაღმით ჩასძირა.

— 29 ოქტომბერს ჩრდილოეთის ზღვაში გერმანელებს „დაუღუპავთ ნორვეგიის გემი „ულვანგი."

— „ლლოიდი"ს ცნობით გერმანელებს ხმელთა შუა ზღვაში დაუღუპავთ საბერძნეთის გემი „ზარბარა" და ნორვეგიის „ლოკკენ."

— ფალკენჰაინს ახალი დამხმარე ძალები მიუღია და ახლო მომავალში კიდევ მოელის; გაზეთების აზრით ეს ჯარი უნდა იყოს წამოყვანილი კურლანდიიდან, სადაც გერმანელებს პოზიციები ძალიან გაუმაგრებიათ და რუსების შეტევისა არ ეშინიათო.

— „ვოლფის სააგენტოს„ ცნობით იმპერატორ ვილჰელმს მთელი თავისი საგანძური და მის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მიერ ბოძებული ორდენები ხაზინისათვის შეუწირავს.

— საფრანგეთში მყოფ რუსის ჯარის მოქმედებით ერთობ მადლიერნი ყოფილან ფრანგი გენერალები.

შავი ყორნები

ეს ჯგუფი რომელნიც ხან „ჭეშმარიტ რუსების," ხან „მთავარ ანგელოზ მიხეილის პალატის წევრების" სახელით და ხან კი უბრალოდ მენშიკოვისებურ პუბლიცისტის სახით და უსაქმურ და რექციონურ ბიუროკრატიის დამცველის სულით, თვით ოფიციალურ მთავრობას აჭარბებს და უფრო მეტ სიმკაცრესა და სისასტიკეს თხოულობს. „კრამოლნიკ" დეპუტატების წინააღმდეგ.

სათათბიროს გახსნის წინა დღეებში და სათათბიროს მუშაობის პირველ დღეს ტყავი გააძრეს თვით სათათბიროს და დეპუტატებსაც; სათათბიროს მოწვევა სრულიად მეტად და საზარალოდაც ჩასთვალეს. მენშიკოვმა—დეპუტატების სიტყვები მხოლოდ ცარიელი და მთავრობას შეურაცხმყოფი იყო. „მოსკ. ვედ." მეტი სთქვა: "რისთვის მოიწვიეს სათათბირო? მუშაობის მაგიერად ჩვენ წინ სარევოლუციო მიტინგის შესაფერ სიტყვებს ამბობდენ-ო."; ,,ზემშჩინა'' კი უფრო შორს წავიდა და პირდაპირ ლანძღვა დაუწყეს დეპუტატებს. იგი ამბობს: სათათბიროში მიტინგი გრძელდება; თავხედური და ბოროტის განზრახვით სავსე სიტყვები სახალხოდ გაისმის; როლები განაწილებულია, საქმეში სათათბიროს ყველა ხულიგანი ჩაბმულია; ორატორები სათათბიროს კითხვებს აძლევენ და ხულიგანთა ხროვა ყვირილით ბანს აძლევს და შეურაცხყოფას აყენებს, ვისაც მოხვდება.''

რა დღესაც ეს წერილი გაზეთში დაიბეჭდა, სწორედ იმ დღეს სათათბიროში ,,ხულიგანთა'' ერთ ერთ მეთაურს—მილიუკოვს სამხედრო მინისტრი სათათბიროს დარბაზში თვალით ეძებს, ხელს ართმევს და მადლობას უხდის იმის სიტყვისათვის; ორი ამ ხანად უმნიშვნელოვანესი მინისტრი სამხედრო და საზღვაო — ,,მიტინგს'' ესწრობიან და ''ხულიგანთა'' სათათბიროს სამუშაოდ იწვევენ, დახმარებას სთხოვენ მას სახელმწიფოსათვის მძიმე წუთებში.

ასეთია ნამდვილი სახე, ამ ,,ნაციონალისტების'' ნამდვილი სული დიდი ხანია მათ მოწინავე საზოგადოებამ დაარქვა შესაფერი სახელი — ,,შავი ყორნები'' და დიდი ხანია ისინი რუსეთს თავს დაჩხავიან, მაგრამ დღესაც დიდია მათი გავლენა სახელმწიფოში და პირიქით რამდენ მეტ თავხედობას იჩენენ ისინი იმდენი მტკიცდება მათი მდგომარეობა.

გ. კობახიძე.

ქართული პრესა.

გაზეთ „სახალხო ფურცელი" ერთხელ კიდევ აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ რუსეთი არ იცნობს საქართველოს და დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში მისი უფლებანი დავიწყებულია, დასძენს:

> ჩვენ დიდი ხანია არ ვეთანხმებით იმ დახავსებულ აზრს, თითქოს საქართველოს ნაციონალური ინტერესების დაკმაყოფილება ვნებს რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. პირიქით, თვით ამ სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით საჭიროა დაკმაყოფილება რუსეთის პატარა ერთა და მათ შორის საქართველოს ნაციონალურ-პოლიტიკური ინტერესებისა.
>
> საუკეთესო ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა იზიარებს ამ შეხედულებას. საუბედუროდ, პროგრესიული საზოგადოების ნაწილი ხშირად სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენს ხოლმე ამ საკითხში და ფრიად სახიფათო ორჭოფობას იჩენს. ჩვენი ვალია განვამტკიცოთ ის შეხედულება, რომ საქართველოს ინტერესების დაკმაყოფილება თვით სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისითაც კი არაფერს საწინააღმდეგოს არ შეიცავს.
>
> ამნაირი აზრის გასავრცელებლად და განსამტკიცებლად კი მუშაობაა საჭირო, სისტემატიური გონიერი შრომა და ჩვენც მოუწოდებთ ქართველ საზოგადოებას ამ შრომისკენ.

რა შრომაა ეს შრომა, პატივცემული გაზეთი არ გვეუბნება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს შრომაა შეერთებული მოქმედება ყველა ჯგუფებისა საქართველოს უფლებათა მოსაპოვებლად, მაგრამ ჩვენ არა გვგონია, რომ თვით პატივცემულმა „სახალხომ" ერთი ბეწვითაც დასთმოს თავისი „პროგრამმა", რომელსაც ჩვენ ობაც არა ერთხელ გვრცხილებია და, მაშასადამე, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მოწოდება ისევ ლამაზ სიტყვებათ დარჩებიან და ოცნება ტანჯულის ქვეყნის ჯერ კიდევ დიდხანს იქვითინებს კავკასიონის მწვერვალებზე.

ახალი ამბავი.

უმაღლესი ბრძანება უმართებულესს სენატს

ჩვენს სტატს სეკრეტარს, გზათა მინისტრს, სახელმწიფო საბჭოს წევრს, სენატორს და ჩვენი სასახლის ეგერმეისტერს ტრეპოვს უმოწყალესად ვუბრძანებთ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეობა მიიღოს, ამასთანავე დარჩეს გზათა მინისტრად, სახელმწიფო საბჭოს წევრად და ეგერმეისტრად.

მეფის ბანაკი. 1816 წ. 10 გიორგობისთვე დედანზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია

ნიკოლოზი".

◆ სახალხო უნივერსიტეტი, დღეს, 13 ნოემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება ჩვეულებრივი ლექციების კითხვა.

პირველ ლექციას წაიკითხავს იაკ. ცინცაძე ამ თემაზე: ცხოვრება და ხელოვნება. ლექციის პროგრამა დაახლოვებით ასეთია: რა არის ხელოვნება? მხატვრული ნაწარმოები, როგორც ცხოვრების გამომხატველი? კრიტიკა. მიზანი კრიტიკისა. როგორ უნდა დაფასდეს მხატვრული ნაწარმოები? დასკვნა. მეორე ლექცია შეეხება საქართველოს ისტორიას მე-18 საუკუნეში. ბ. ალ. გარსევანიშვილი გააშუქებს შემდეგ საკითხს: მდგომარეობა ქართველი გლეხისა ევროპიელ მოგზაურთა აწერით. ლექტორი განიხილავს ნასწავლ მოგზაურთა ნაწერებს, რომელთაც ჩვენი სამშობლო ინახულეს მე 18 საუკუნეში (დელაპორტი, გილდენშტეტი, რაინეგსი, ბურნაშევი და სხვ.)

ლექციის დასაწყისი დღის 12 საათზე. ფასი ჩვეულებრივია.

◆ თეთრბილეთიანი-მასწავლებლები. უმთავრესი შტაბის სამობილიზაციო განყოფილების განკარგულებით 1905 წლის და უგვიანესი წლების თეთრ-ბილეთიანი მასწავლებლები განთავისუფლებული იქნებიან ჯარში გაწვევისაგან, მანამდის სანამ ისინი მასწავლებლად ითვლებიან.

◆ განზრახულია დაევალოს მასწავლებლებს სოფლათ მოაწყონ ლექციები და კითხვები რათა აუხსნან ხალხს ახალი $5^1/_2$ პროცენტიანი სესხის მნიშვნელობა.

◆ თრშიერის ქუჩაზე 7 ნოემბერს ქურდები შეპარულან სინაურიძის ტყავეულობის სავაჭროში და მოუპარავთ რამოდენიმე მანეთის ტყავეულობა.

◆ მომხმარებელმა საზ. „კოოპერაციამ" თბილისში არსებულ ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირისაგან უკვე მიიღო რამოდენიმე ფუთი კარგი ღირსების საპონი, საპონი მიეცემა ბარათებით მხოლოდ წევრებს საზოგადოებისას.

◆ მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია" ამ დღეებში გახსნის პურის საცხობ ფურნის განყოფილებას რიონს გაღმა ნაწილში.

◆ ამ დღეებში ქალაქის გამგეობა მიიღებს 28 ვაგონ პურის ფქვილს, რომელიც 4 ნოემბერს გამოუგზავნიათ ქალაქ ეისკიდან, მოელის აგრეთვე 28 ვაგონ შაქარს, რომელიც როსტოვიდან ყოფილა გამოგზავნილი.

◆ გუშინ ბაზრის ზედამხედველმა ჩიქოვანმა პურის ზედ-მეტ ფასებში გაყიდვისთვის ოქმი შეუყენა მეფურნე პლატონ სიმონის ძე ჯალაღანიას და ივანე იოსების ძე ქორქოლიანს. ეს ოქმები ბაზრის ზედამხედველმა ქალაქის თვითმართველობას წარუდგინა სისრულეში მოსაყვანად.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ახალი ნიხრი სურსათ-სანოვაგეზე.

◆ ქალაქის თვითმართველობამ უკვე მიიღო ხაზინიდან 40195 მანეთი სათარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად, რომლის დარიგებას დღეიდან შეუდგებიან...

მტერთან მამაცობისთვის დააჯილდოვეს შემდეგი ქართველი აფიცრები: წმ. ანნ მესამე ხარისხის ჯვრით პორუჩიკი გიორგი ციტლანაძე, წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვრით შტაბს კაპიტანი იროდიონ გაბიჩვაძე და პოდპორუჩიკი ვასილი მესხი, წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვრით პოდპოლკოვნიკი თავადი მიხეილ ჭავჭავაძე, მეოთხე ხარისხის წმ. ანნას ჯვრით პრაპ. დავით ნოზაძე, წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის, პრაპ. სერგეი ადამია, თ-დი იასონ ჯორჯაძე, ივანე ეფრემიძე და მიხეილ ადამია, წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვრით, პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ სარჩიმელია. პრაპ. ალ. ხიტირია, ბარნაბა უკლება, გიორგი გიკაშვილი, იერემია ძამუია, თავ. რაჟდენ ჯან-

სიყვარული.

I

შეუყვარდა ბულბულს ვარდი იგრე ტურფად ნაქუჩი,
შეუყვარდა მოღაზღაზე ვით ქალწულის ბაგე ტუჩი.
დაეკოდა ბულბულს გული, დაავიწყდა ყველაფერი,
და შეიქმნა სატრფო მისი ვარდი ქორფა სისხლის ფერი.
უგალობდა: „შენ ხარ ერთი ყველას მჯობნი, ვიცი, მჯერავს,
ნუ გამწირავ, ყური უგდე ჩემს პატარა გულის ძგერას,
მივატოვებ ყვავილთ კრებას, შევებმები ბედის წერას
და არას დროს არ მოგაკლებ ჩემ ჰანგსა და ჩემს სიმღერას".
ვარდის მცველმა ბარდ ეკალმა ბევრჯერ გული გაუკაწრა
თუმცა ამით მოტრფიალე ადგილიდან ვერც კი დასძრა.
არად სთვლიდა თვის გასაჭირს თვით იცოდა რაც უჯობდა,
უჯდა ახლოს თავის სატრფოს, უყვარდა და სდარაჯობდა,
მაგრამ ერთხელ მოგზაურმა შეაშინა მომღერალი,
ააფრინა... თვით კი მოკრა ბუჩქის თავზედ ვარდსა თვალი,
მოეწონა, ჩამოსწყვიტა, ჩამოართვა ეკალ ბარდი,
დაყნოსა და ამ დაყნოსვით დასჭკნა ვარდი... მოკვდა ვარდი...
რა ბულბულმა თავის სატრფო ბუჩქზედ ველარ დაინახა,
ბევრი ცრემლი დააფრქვია, ბევრჯელ მწარედ შემოსძახა.
მიატოვა ის ადგილი გამოსძებნა სულ სხვა მხარე,
კვლავ იპოვნა ტურფა ვარდი მოციალე მოელვარე,
მოესურვა მისი ქება გულიც მორჩა მოუბრუნდა,
დაავიწყდა სევდა ბულბულს და ხელახლად გამიჯნურდა.

II

და უყვარდა ვაჟს ქალწული, და უყვარდა ისე ვნებით,
რომ დნებოდა მის ხილვაზედ, როგორც ყინვა მზის სხივებით.
მისგან შორს კი თავსა ხრიდა, ვით დამზრალი სუსხით ვარდი,
დაუღრღნიდა ჭაბუკს ნორჩ გულს ჩუმი სევდა, ჩუმი დარდი.
შეუყვარდა მას საღამო შავი ნისლით დაფერილი,
დაეკარგა მოსვენება, დაეკარგა მშვიდი ძილი.
სურდა იმას რგუნებოდა ის ქალწული ვარდის ფერი,
და მზად იყო სამსხვერპლოზედ მიეტანა ყველაფერი.
მაგრამ ერთს დღეს დაქანცულნა როს მილულა წუთით თვალი
მოიპარეს მისი სატრფო, მოიტაცეს ტურფა ქალი.
და დაადგეს მას გვირგვინი ყვავილებით მორთულ თავზედ
და წაართვეს მაგიერში სიქალწულის სილამაზე.
დარჩა ვაჟი მარტოთ მარტო საბრალოთ გულ დანაკოდი
მოუხმობდა: „სატრფოვ ძვირო სად ხარ სადა, მნახე მოდი,"
და ეგონა ამ გასაჭირს მისი გული ვერ დასძლევდა;
კვლავ ეძახდა, თუმცა პასუხს კი არავინ არ აძლევდა.
პირველ გრძნობის პირველ ყვავილს ბევრი ცრემლი დააყარა.
და მოშორდა ადგილს, სადაც სიჭაბუკე გაატარა.
იმკურნალა უცხო მხარემ. მორჩა გული, გაშრა თვალი
კვლავ იპოვნა მომხიბლავი მშვენიერი ტურფა ქალი,
დღემ დღე შობა, წელმა წელი, მისმა გულმაც გაიხარა,
დაივიწყა ძველი სატრფო და ახალი შეეყვარა.

საფო. მხედაძე.

ბლეკი ილო,

გმირი კეტებიანი ომისა.

(ფინური ლიტერატურიდამ)

მე 19 საუკუნის ფინური ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი როლი საკმარისად გამოარკვია ადგილობრივმა კრიტიკამ.

უწინარეს ყოვლისა, ეს ლიტერატურა ნამდვილი დემოკრატიულია; იგი ღრმად ხალხურია, ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით.

იგი ხალხურია არა მარტო თავის შინაარსით, არამედ ფორმითაც.

წარსული საუკუნის ფინური ლიტერატურის დამამშვენებელი იყო ნიჭიერი მგოსანი იოხან რუნებერგი, რომლის ნაწარმოები გამსჭვალულია ეროვნული სულით. მან შექმნა მთელი შკოლა მწერლებისა, და მათ შორის საპატიო ადგილი უკავია, იმ მგოსანს რომელმაც დასწერა „ბლეკი ილო", ეს არის კ. კრამსუ. ლექსის შინაარსი ამოღებულია ხალხის ცხოვრებიდამ.

მკითხველმა რომ კარგად გაიგოს ამ მშვენიერი ლექსის დედა-აზრი, საჭიროა შემდეგი გარემოების ცოდნა.

ფინებისათვის მეტად მძიმე და აუტანელი იყო მე 16 საუკუნის დასასრული. მართალია, ფინლანდიაში ბატონყმობა მოისპო ორი საუკუნის წინად, მაგრამ ეს თავისუფალი ხალხი მაინც არ იყო ბედნიერი. ქვეყნის გამგე ისევ შვედელი რაინდები დარჩნენ და ესენი აწუხებდენ საბრალო ხალხს. ამიტომ ფინლანდიის მთელი გლეხობა აჯანყდა რაინდების წინააღმდეგ.

ამ ამბებს ფინებმა დაარქვეს „ბრძოლა კეტებით" ანუ კეტებიანი ომი, რადგან ნამდვილი იარაღი — ხმალი, თოფი და შუბი ცოტას ჰქონდა, უმრავლესობა კი კეტებით გამოვიდა საომრად.

2 იანვარს, 1597 წელს, სოფელ ნოკიასთან, რომელიც ქალაქ ბიერნ ბორგის ახლო იმყოფება და სადაც ახლა აშენებულია უზარმაზარი ქაღალდის ქარხანა, მოხდა შვედელ რაინდთა და გლეხთა შორის სისხლის მღვრელი ბრძოლა: სისხლის წვიმა წამოვიდა და შედება არემარე...

ეს შეტაკება გამოიწვია რაინდების უფროსმა კლაუს ფლემინგმა.

ფინლანდიის ბედი მის ხელში იყო და იგი სასტიკად ექცეოდა საბრალო გლეხებს... ხასიათითაც მეტად ულმობელი და ბოროტი იყო.

დანარჩენი რაინდებიც თავის ბატონს ბაძავდენ, სტანჯავდენ მუშა ხალხს და ყოველგვარ უწესოებას სჩადიოდენ.

რაინდები, თავით-ფეხამდი შეიარაღებული, უშიშრად ცხოვრობდენ და ქეიფგანცხრომაში ატარებდენ დროს.

— კლაუს ფლემინგი მათი უფროსიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ხალხის კვნესას და ცრემლებს.

დიდხანს ითმინა ხალხმა ასეთი ბატონობა შვედელ რაინდებისა და ბოლოს აივსო მოთმინების ფიალა. დაიწყო ხალხში მოძრაობა და აჯანყების ალი თანდათანობით მოედო მთელ ქვეყანას.

მოთმინებიდამ გამოსული ფინური გლეხები როგორც ერთი ადამიანი წინაღუდგენ მტარვალებს.

სიღარიბის გამო უმრავლესობა, როგორც შევნიშნე, შეიარაღდა კეტებით და გაშმაგებულად შეებრძოლა კარგათ შეიარაღებულ რაინდების ჯარს.

აი სწორედ ამ დროს დიდისახელი გაითქვა ერთმა გლეხმა, სახელად ილკამ, ჩვენებურად ილომ... ამ გმირმა ადამიანმა

დიერი, ეზეკია კალანდაძე და ალ. სირბილაძე.

◆ **დაჭრილი დაავადმყოფებული აფიცრები.** უკანასკნელ ხანებში თბილისში ჩამოიყვანეს და სხვადასხვა ლაზარეთებში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი აფიცრები: პოდპორუჩიკი ალექსანდრე კიკნაძე (მოთავსებულია № 38 ლაზარეთში) და ნესტორ გიორგისძე ბერიძე. (მოთავსებულია № 8 ლაზარეთში.)

◆ **როგორც გადმოგვცეს** გახშირებულია ქალაქის ბაღში სხვადასხვა ძვირფასი მცენარეების ქურდობა, საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

◆ **ქალაქთა კავშირის** ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე შუამდგომლობს თბილისის განყოფილების წინაშე, რათა 10000 მანეთი დახმარება აღმოუჩინონ მას ბათუმში ბამბუკის სახელოსნოს გასაკეთებლად.

◆ **ქიმიური ლაბორატორიის** გამგეს, სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში გაუკეთებია ანალიზი 248 საეჭვო ღირსების სანოვაგის ნიმუშისათვის.

გუბერნატორის კანცელარიის ცნობები.

ქვემო-სვანეთიდან ატყობინებენ გუბერნატორს, რომ სოფელ ძონძირში მცხოვრებ გლეხის, ევ. ხუნცარიას გამქურდავი ავაზაკები: ბურდღუ ხუნცარია, იაკობ შურღაია, სიკო, ჩიტია და ვანო შურღაია უკვე დაუპატიმრებიათ და გადაუციათ სასამართლოსთვის.

◆ **სოფელ დგვანში** (სენ. მაზრა) 4 ნოემბერს რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები გზაში დახვდნენ პრინცესა მიურატის მოურავს პავლე ფულარიას, რომელიც დ. ზუგდიდიდან სახლში ბრუნდებოდა და მოსთხოვეს ფული. როდესაც უარი მიიღეს ფულის მიცემაზე, მოჰკლეს ის და მიიმალენ.

კავკასიის ქრონიკა.

— **თბილისიდან** იწერებიან, რომ ქალაქის გამგეობას მხოლოდ სამი დღის საყოფი ფქვილი დარჩენია. ქალაქის თავს ა. ი. ხატისოვს გუბერნატორისთვის მიუმართავს და მას თავის საწყობიდან 30 ვაგონი ფქვილი მიუცია. ქალაქი ამ დღეებში 77 ვაგონ ფქვილს მოელის ნოვოროსიისკიდან.

— **თელავიდან** იწერებიან, რომ ალაზნის ხიდის მახლობლად ყაჩაღებს მეურმეები გაუცარცვავთ. წაურთმევიათ 1 ტომარა კაკალი, 1 ტომარა ნიორი და 50 მანეთი ფულად.

— **ახალხენაკი.** დღეს 13 ნოემბერს, საღამოს ილიკო ქურხული ლექციას წაიკითხავს: მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან და სკრიპკაზე შეასრულებს მისი საეზოვო რეპერტუარიდან რამდენიმე სხვადასხვა მუსიკოსთა ნაწარმოებს.

— **ოზურგეთიდან** გვატყობინებენ მარგველაშვილის მკვლელობის გამო მკვლელობა დილას, საათის 10 მოხდარა. დარაჯთა უფროსს მარგველაშვილს ბაზარში ყაჩაღი ლომინაძე უცვნია. ლომინაძეს წინააღმდეგობა არ გაუწევია და დანებებია. როდესაც რამოდენიმე მანძილი გაუვლიათ და დარაჯი მის დანებებას დანდობია, ამ დროს უძვრია ყაჩაღს მაუზერის რევოლვერი და იქვე, შუა ბაზარში მოუკლავს მარგველაშვილი. ხალხი გადევნებია, რის დროსაც ერთი კაცი კიდევ სხვა დაჭრილა, მაგრამ ყაჩაღი გზადაგზა სროლით სასულიერო სასწავლებლის ეზოში შევარდნილა და იქიდან მიმალულა.

— ბორჯომიდან იწერებიან, რომ იქ ძრიელ ნაკლებათაა ფქვილი, შაქარი და ნავთი, მაგრამ ამას ვინ იფიქრებდა, რომ იქ შეშის ნაკლებობა იქნებოდა. მთელი ბორჯომის ხეობა ტყეა და შეშის შოვნა კი ძნელია. ბორჯომის დიდი მთავრის მამულში ორმოც და ათი ათასი დესიატინა ტყეა და საწყობში შეშა კი ერთი ღერიც არა აქო.

საქართველოს გარეშე

შუშინდან იწერებიან და საზიზღარი ამბები ხდება ქალაქის საავადმყოფოში. თურმე მუშა მოსამსახურეები მეტად ცუდად ეპყრობიან ავადმყოფებს. მუშა მოხელენი ზოგი კარტს თამაშობს, ზოგი სეირნობს, ზოგი ლაზღანდარობს და ავადმყოფები მიტოვებული არიან. თუ „ნაჩაი“ არ მიეცი კაცი არ მოგხედავს, არაფერს არ მოგიტანს. წინააღმდეგ თუ რამე აქვს ავადმყოფს, კარგად უნდა შეინახოს, რომ არ დაეკარგოს.

თეთრ ბილეთიანების გაწვევა

რადგან გამოიცა ახალი განკარგულება მიიღონ სამხედრო სამსახურში ფიზიკურ ნაკლულევანებათა გამო მე-2 ხარისხის მოლაშქრეებში ჩარიცხულნი ამიტომ თეთრ ბილეთიანები, დაბადებულნი 1888 წლის 1 ოქტომბრიდან 1895 წლის 31 დეკემბრამდი გაწვეულნი კენჭის აშოსაღებად 1910—1916 წლის განმავლობაში, როგორც უბრალო ჯარის კაცნი, ან „ვოლნოოპრედელიაუშჩები“ და რომელნიც ამა წლის პირველ ოქტომბრის შემდეგ შემოწმებულ იყვნენ და დაწუნებულნი და მე-2 ხარისხის მოლაშქრებად ჩარიცხულნი—მოვალენი არიან ახლავე გამოცხადნენ იმ სამხედრო საკრებულოში, სადაც სცხოვრობენ. ყველა ესენი მოწონებულ თეთრ-ბილეთიანებთან ერთად წაყვანილ იქნებიან ჯარში.

ის თეთრ-ბილეთიანები, რომელნიც მე-2 ხარისხის მოლაქრეებსავით შეღავათით სარგებლობენ, შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათით: ვინც სასწავლებელშია შეღავათი მიეცემა გასაწვევ წლოვანობამდე. ვინც სასწავლებლიდან გამოვიდა, ხოლო სახელმწიფო ეგზამენები არ ჩაუბარებია, შეღავათი მიეცემა 1915 წლის 13 მაისის განკარგულებათა მიხედვით. ყველა ამისთანა პირებმა შეღავათი უნდა სთხოვონ ადგილობრივ სამხედრო სამაზრო უფროსს. ხოლო შეუმოწმებელ თეთრ-ბილეთიანებს შეღავათი მიეცემათ შინაგან საქმეთა მინისტრის 1916 წლის განკარგულების ძალით სამხედრო საკრებულოს და 1915 წლის 6 დეკემბრის კანონის ძალით შეღავათის მიმცემ კომიტეტებისაგან.

ისინი, ვინც სახელმწიფო სამსახურში არიან, მაგრამ შეღავათი არ შეიძლება მიეცესთ, სამხედრო უფროსისაგან მიიღებენ ექვსი კვირის ვადას, რომ ამ დროის განმავლობაში მათ მიიღონ შეღავათი და ვადა. „საქ“.

ფრიდრიხ ადლერი.

ავსტრიის პრემიერ მინისტრის, შტიურკის, მკვლელი—ფრიდრიხ ადლერი ავსტრიის მუშათა პარტიის, ომის მოწინააღმდეგე ოპოზიციის, მეთაურად ითვლებოდა. ამასთანვე იგი ავსტრიის სოციალ-დემოკრატთა თვიური ჟურნალის „კამფის“ (ბრძოლა) რედაქტორი იყო ჟურნალის არსებობის განმავლობაში იგი ავსტრიის ინტერნაციონალისტების იდეურ სიმაგრეს წარმოადგენდა; ყველა სოციალ დემოკრატი მის გარშემო იკრიფებოდა.

ფრიდრიხ ადლერი ნაციონალურ სახელმწიფოთა აზრთა ჩარჩოებში არ იყო ჩაკეტილი; იგი ყველგან ფაქტიური ხელმძღვანელი იყო მუშათა ალორძინებისა და ამ აზრით იგი რაოდენჯერმე შვეიცარიისაც ესტუმრა.

მან მოკლა მინისტრთა თავმჯდომარე იმ ავსტრიისა, რომელმაც სერბიელთადმი მიმართული ულტიმატუმით მიზეზი შექმნა სახელმწიფოთა ერთმანეთთან შეტაკებისა და ესოდენ სისხლის ღვრისა და ჟლეტა ხოცვისა.

მან გამოასალმა წუთისოფელს ის შტიურკი, რომელიც აგერ ორ წელიწადზე მეტია, რაც ავსტრიის პარლამენტი აღარ მოიწვია, ავსტრიაში თვითმპყრობელობის რეჟიმი შემოიღო და იმ ფორმის, რომელიც 70 წლის წინეთ არსებობდა.

შტიურკის დაღუპვის წინა დღეებში ერთმა შვეიცარიის გაზეთმა საიდუმლო ცნობები მიიღო ავსტრიიდან, რომ ერთ-ერთ ავსტრიის ქარხანაში, სადაც 24,000 კაცი მუშაობდა, გაფიცვის დროს, ავსტრიის ქარხნების გამგეობამ ნემცების წინააღმდეგ მტრობა შუღლით აღვსილი ჩეხელთა ჯარი მიიწვიეს და შვიდასი მუშა მოაკვლევინეს, ერთი სიტყვით ევროპაში ლენის ამბები განმეორდა. შეიძლება ეს ამბავი დიდი ნაღველის უკანასკნელ წვეთად იქცა, ფრიდრიხ ადლერის ფიალოაავსო და მით მას საშინელი ნაბიჯი გადაადგმევინა.

ფრიდრიხ ადლერის კარგი მერმისი უცდიდა, დიდი მომავალი ჰქონდა. ნიჭიერი, 38 წლის ვაჟკაცი უკვე მუშათა შესანიშნავი ჟურნალის რედაქტორი იყო. შემდეგში ყოველთვის შეეძლო მას თავის მამის ალაგი დაეჭირა, რომელიც მუშათა პარლამენტში ყველაზე უფრო დიდი და გავლენიანი პარტიის სოციალდემოკრატიული ფრაქციის ლიდერი იყო. ადლერმა უარჰყო ყოველივე, რომ ამ ომისთვის და შტიურკის პოლიტიკისთვის, რომელმაც მთელი ავსტრიის მამაკაცები 55 წლამდი ომში [illegible] პროტესტი გამოეცხადებინა [illegible] მსხვერპლა თავი და თავის [illegible] ადლერმა. დაბეჯითებით ამბობენ, რომ ეს მკვლელობა რაიმე შთაბეჭდილების ნაყოფი კი არ იყო, არამედ ადლერი მოქმედებდა წინა გასაზღვრული იდეითო რისი მსხვერპლიც შეიქმნა.

(„გოლოს“)

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. მთელ ხაზზე საარტილერიო სროლა სწარმოებს.

კავკასიის ასპარეზი. არსებითი არაფერი მომხდარა

დასავლეთის ასპარეზი. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფო-დუომონის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა.

იტალიის ასპარეზი. იულიის ალპებზე ზარბაზნების სროლაა. გორიცას ავსტრიელებმა ზარბაზნები დაუშინეს.

რუმინიის ასპარეზი. ტრანსილვანიაში მცირე ბრძოლებია. დობრუჯაში მოწინავე რაზმების შეტაკებანი ხდება.

მაკედონიის ასპარეზი. სერბიელებმა სოფ. ბუდიმირცა აიღეს. ფრანგებმა კიდევ აიღეს 2 სოფელი. გერმანელებს ახალი დამხმარე ჯარი მოუვიდათ და სერბიელებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ მოგერებულ იქნენ.

სამხედრო მიმოხილვა

რუმინიის საზღვარზე გერმანელებმა ბრძოლების სიმძიმე ეს რამდენიმე ხანია უფრო დასავლეთით გადაიტანეს და მდ. ჟიუს ველით იწყეს შეტევა, დასაწყისი ამ მოქმედებისა გერმანელებისათვის კარგი გამოდგა და უკვე კრაიოვას უახლოვდებიან.

ეს შედარებით ადვილი წინსვლა გერმანელებისა აიხსნება იმით, რომ მცირე ვალახეთი, სადაც ეს შეტევა სწარმოებს მეორე ხარისხოვან მიმართულებათ ითვლებოდა, რუმინელები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ასპარეზის ნაწილს და მთავარი მათი ძალები კიმპოლუნგის მიმართულებითა და დობრუჯაში მაკენზენის წინააღმდეგ იდგა.

რუმინელები აქედან მოელოდნენ მთავარ საბრთხეს და ფიქრობდნენ, რომ გერმანელები სწორედ ამ ორი მხრიდან წამოვიდოდნენ გერმანელ-ბულგარელთა მთავარი ძალები.

გერმანელებმა ფარულად მოიკრიბეს ძალები მდ. ჟიუს მიმართულებით და მოულოდნელად დაიწყეს შეტევა.

მცირე ვალახიაში რუმინელები თითქმის სრულიად მოულოდნელად შეესივნენ რუმინელებს.

მით უმეტეს ადვილი იყო გერმანელების წინსვლა, რომ საერთოდ რუმინიის ასპარეზზე ჯერჯერობით მაინც გერმანელების არტილერია რიცხვითაც და ძალითაც რუმინელებისას აღემატება და ტეხნიკური საშუალებაც ხომ ჩვეულებრივად მეტი ჰქონდათ.

გარდა იმისა, რომ გერმანელების წინსვლა ადვილად მოხდა, ამ წინსვლას მნიშვნელობაც არა აქვს მცირე.

ამ საკითხში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია და დიდი მნიშვნელობაც აქვს ამას.

ვიდრე ეს შეტევა დაიწყებოდა, რუმინელები და რუსები მედგრად უტევდნენ გენ. მაკენზენის ჯარს დობრუჯაში და რამოდენიმედ ტაქტიკური და სტრატეგიული გამარჯვება მოიპოვეს.

როგორც კი დაიწყო ჟიუს ველზე გერმანელების შეტევა, დობრუჯაში მომქმედ რუს რუმინელების ჯარის აქტიური მოქმედება შესუსტდა და ბოლოს შესწყდა კიდეც.

მაკენზენისთვის მძიმე იქნებოდა რუსების შეტევის შეკავება, ამიტომ რომ დაგროვილი მასალა შემოაკლდა ჯარი შეუმცირდა და დახმარებასაც მოკლე ხანში ვერ მიიღებდა, რადგანაც ფალკენჰაინს ამ ხანად დიდი დახმარება ეჭირვებოდა. მაკედონიაში მოკავშირეებმა შეტევა დაიწყეს და იქაც მიშველება უნდოდა.

შეაერთა მთელი აჯანყებული გლეხობა და მის წინააღმდეგ გამოვიდა...

ცუდი დღე დააყენა ილომ თვისი „კეტებიანი ჯარით“ ქვეყნის მტარვალებს.

ბევრი სისხლი დაიქცა, ბევრი გლეხი დაიღუპა და ბოლოს მაინც დამარცხდა აჯანყებული ხალხი.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდგან გლეხთა ბრბოს აკლდა დისციპლინა და იარაღიც...

რაინდებმა გაიმარჯვეს და სასტიკად დასაჯეს აჯანყებულნი.

ამგვარად დაჩაგრულ გლეხთა აჯანყებამ არავითარი ნაყოფი არ მოიტანა. მხოლოდ თვით ამბოხების ფაქტი მაჩვენებელი იმისი, რომ მშვიდობიან ხალხის მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი და ადრე თუ გვიან ბატონების თავგასულობასაც მოეღება ბოლო...

თვით გმირი გლეხი ილო, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ხალხის თავისუფლებისათვის, ტყვედ ჩაუვარდა რაინდებს და იგი ხეზე ჩამოახრჩვეს.

ილოს შესახებ ხალხში გავრცელდა მრავალი თქმულება, ლექსი და არაკი... ცხადია, შთამომავლობამ არ დაივიწყა გმირი ილოს სახელი...

ასეთის ერთ-ერთ გადმოცემით ისარგებლა მგოსანმა კრამსუმ და ეს ლექსი შეთხზა... (თარგმანი ეკუთვნის ია ეკალაძეს.

გლეხი ილო.

გლეხის ქოხში გამოზრდილი,
გლეხის შვილი იყო ილო,
წმინდა ჰქონდა გრძნობა ფიქრი
ვით წმინდაა მარმარილო!..

——

მთელს ჩვენს მხარეს იმისთანა
არ უნახავს სხვა—მეორე,
კეთილშობილთ სჯობდა გულით
მენახირე და მეღორე!...

——

იმ დროს იყო ახრება—
ყველა მხრიდამ გვცემდა მტერი
ცრემლებს ღვრიდა ტანჯვისაგან
ახალგაზრდა, თუ ხნიერი!.

——

ჩვენს სამშობლოს თავზარ სცემდა
კლაუს ფლემინგ—მთის ბატონი,
არვინ ჰყავდა მამულს მხსნელი,
არსად უჩნდა მას პატრონი.

——

მარტო ილო არ შიშობდა,
მაჯა ჰქონდა სალი კლდისა,
ფიქრი ფიქრზე გადიგრიხა
ბოლმა ჩაჰკლა შავის დღისა...

——

ხალხის გლოვამ და ტირილმა
ვაჟკაცს გული შეუწუხა
დ მხდლებს, მშიშართ დაობლებულთ
გმირმა ასე შეუძახა:

——

„ხალხო, რისთვის დაღვრემილხართ,
რას წუწუნებთ და რას კვნესით?
ხერხის კაცი და მამაცი
ცეცხლს გააჩენს აბედ-კვესით!

——

ვინც მარადის ქედ-წახრილი
მხოლოდ ოხრავს და წუწუნებს,
მას უკმეხი ბრძოლის ღმერთი
არას დროს არ გაუღიმებს!..

——

შორს გოდება, შორს სიმხდალე
შორს კვნესა და შორს ვაება!..
გამარჯვება მისი არის
ვინც მტერს მედგრად შეებმება!..

——

სიკვდილი შობს ტკბილ სიცოცხლეს,
მტერი ბრძოლით დამარცხდება,
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი—
აი, რა იყოს ჩვენი მცნება!!!

——

ვით ცის ელვა, ვით მზის სხივი—
ეს სიტყვები არე-მარეს
მოეფინა, და აღანთო
ბრძოლის ცეცხლი ჩაგრულ მხარეს.

——

სისხლის წვიმა წამოვიდა,
ჩამორეცხა მთა და ბარი,
ილომ თავი ისახელა
მტერს მან დასცა შიშის ზარი!..

——

შურის ღმერთად გადაიქცა,
მტერი სჩეხა, მტერი კაფა.
და ვაჟკაცმა ვაჟკაცურად
რკინა რკინით გაალღვა!..

——

ბრძოლის ველზე მისი ხმალი
პრიალებდა... მღეროდა ჩანგი—
ვიდრე მტერმა მოტყუებით
არ დაუგო მას ხაფანგი

——

ტყვედ ჩავარდა—წაიყვანეს,
(იმის მზგავსი ვინ გადარჩეს?!)
და მხეცებმა ვერაგულად
ილო ხეზე ჩამოარჩეს...

——

მაგრამ იმის ვაჟკაცობას,
დღესაც აქებს ჩვენში ყველა!..
სამშობლოსთვის თავდადებულთ
ვერ შეარცხვენს სარჩობელა!

——

აი ამ ლექს მღერის დღეს მთელი ფინლიანდია და მარადის იმსჭვალება მამულიშვილურის გრძნობით.

ალ. გარსევანიშვილი.

სასიხარულო ამბავი

არა ერთ გზის გამოგვითქვამს გაზეთის ფურცლებზე ჩვენი გულის ტკივილი და მწუხარება სამრევლო სკოლის მასწავლებლების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. დღეს, ღვთის მადლით, უკვე ბოლო მოეღო მათ სამწუხარო მდგომარეობას.

ამა წლის 28 მაისის კანონის ძალით, იმათაც მიეცემათ სრული ჯამაგირი ე. ი. 360 მან. წლიური და დამატებითი 120 მ. სულ 480 მან. და საღმთო სჯულის მასწავლებელს კომპლექტზე 60 მან. აგრეთვე მიეცემათ ყოველი ხუთი წლის ნამსახურობის 60 მან. და პენსია საპენსიო კასიდან, რომელიც არსდება მათთვის მომავალი წლიდან

ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც ამდენხანსაც უნდა მომხდარიყო ე. ი. სრული გათანასწორება მათი სამინისტრო სკოლის მასწავლებლებთან. თუმცა ეს არც ისე დიდი ჯილდოა მათი უჯიათო შრომისათვის, რომ აქ შეჩერდეს ჩვენი სურვილი, მაგრამ ჯერჯერობით ესეც დიდი ნაბიჯია წარსულთან შედარებით და მომავალში მეტსაც უნდა მოველოდეთ.

ამასთანავე არ შემიძლია აქვე არ შევნიშნო, რომ ბ. ბ. მასწავლებლები აწი მაინც გაორკეცებული ენერგიით შეუდგება თავისი მოვალეობის ასრულებას. უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენი ნორჩი თაობის მომავალი, მისი ბედი და იღბალი მათ ხელშია და მათი ინტერესები მეტ შრომასა და გარჯას მოითხოვს მათგან. ყოველი დაკარგული წუთი ერთნაირათ მოეთხოვება მათ, სულ ერთია სამინისტრო სკოლისაა ის, თუ სამრევლოსი. იმედია ამიერიდან ადგილი არ ექნება მათ ცხოვრებაში ისეთ მოვლენას, როგორიც ამას წინეთ დირექციის ერთ-ერთი რაიონის ინსპექტორი აღნიშნავდა მათი დაუდევრობისა შესახებ სწავლა-აღზრდის საქმეში.

თვითონ მათ უნდა დაამტკიცონ თავისი შრომითა და საქმიანობით, რომ ისინი სრულწლოვანი არიან თავისი მოვალეობის ასრულებაში და თუ შრომობენ არა ინსპექტორის გინა თუ მეთვალყურის შიშით, არამედ თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულობის შეგნებით.

უნდა ახსოვდეთ, რომ ინსპექტორი და მეთვალყურე მაინც და მაინც დიდს არაფერს კარგავენ მათი დაუდევრობით აქ წაგებაშია ისევ ბედშავი ჩვენი გლეხობა, რომელსაც მის ზურგზე ცხრაფრათ ანატყავებიდან რაღაც ორიოდე გროში სახალხო მასწავლებლის სახით უბრუნდება მას და, თუ ისიც აღარ ხმარდება მას საშველი აღარ ჰქონია.

ცოტა არ უჯდება ჩვენ გლეხს ბავშვის სწავლება. სულ ცოტა რამ ვსთქვათ ორასი მანეთი მაინც უზის მას წელიწადში. აი ამოდენა ხარჯსა და შრომას ეწევა ის და, თუ მისი შვილი თამაშობის მეტს არას გააკეთებს რა, რაღა გასაკვირველია რომ მან სულ უარი სთქვას სკოლაზე. ეს კი კარგი ამაგი იქნება მასწავლებლისგან! ნაცვლათ იმისა, რომ შეაყვაროს სკოლა, თუ შეაძულებს, ვერაფერი სამსახურეს გაწევა იქნება და სარგებლობის წილ ვნებას მისცემს სწავლა განათლების საქმეს ჩვენში. ასეთ გარემოებას თვით მასწავლებლები უნდა შეებრძოლონ მასწავლებელთა კავშირის გამგეობის სახით. ასეთი შეგნებით გამსჭვალული მასწავლებელი ჯოხით შესადენი არ იქნება სკოლაში და სკოლაც თავის დანიშნულებას შეასრულებს და მიზანს მიაღწევს.

დე—ზა.

პროვინციის ცხოვრება.

ლანჩხუთში შეშისა და ხის მოიჯარადრები მუშა ხალხს ძრიელ თავგასულად ეპყრობიან. მუშები ვაგონებს ტვირთავენ შეშით, მაგრამ მუშაობის ფასი დღეში პურის ფასს არ აღემატება. მასთანვე ხაზეინები მუშებს ძრიელ უზრდელად ეპყრობიან და ძღვა-გინებას არ ერიდებიან. როგორც მუშა ხმას ამოიღებს, მაშინვე ასეთი პასუხს მიიღებენ: „თუ გინდათ იმუშავეთ, თუ არა მუშის მეტი რა იშოვებათ“.

— **სოფ. კასპი** (ქართლი). კასპი გორაზეა გაშენებული, სადგურიდან ნახევარ ვერსის მანძილზე. აღმოსავლეთით ჩამოუდის მდინარე ლეხურა მდებარეობა მშვენიერია, მაგრამ სოფელში ქართლის ჩვეულებრივი უსუფთაობაა იქაურობა ნეხვითაა სავსე. მიუხედავად მისა რომ სოფელი მაღლობზე და მშრალ ადაგზეა გაშენებული, მცხოვრები ციებ ცხელებით ხდებიან ავათ. მცხოვრებთა რიცხვი ორას კომლს აღემატება. მცხოვრები მევენახეობას, მებაღეობას და ხილით ვაჭრობას მისდევენ. სოფელში კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებანი მოიპოვება: საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატივი განთიადი და ორ კლასიანი სასწავლებელი კოოპერატივში 160 წევრია, მისი ვაჭრობა კარგად მიდის და ხალხის ყურადღებაც აქვს დამსახურებული. სოფლის უბედურება ისაა, რომ იქ ათი ღვინის დუქანია და . სოფლის მშრომელი ხალხი ღვინოში იხრჩობს თავს. ყოველთვის მომღიმარე და სტუმართ მოყვარე კასპი დღეს დიდი სიძვირის გამო ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის. დიდი სიძვირეა, ყველაფერს ცეცხლი ეკიდება და დამწუხრებულმა ხალხმა აღარ იცის რა ქნას. თ. ა.

— **სოფ. დარკვეთი.** (საჩხერე) ეს სოფელი სწავლა-განათლების მხრივ სხვა მეზობელ სოფლებს არ ჩამოუვარდება. არსებობს, ერთკლასიანი სასწავლებელი კრედიტის ამხანაგობა, და სამკითხველო. უკანასკნელს ქუთაისური და თფილისელი გაზეთები მოდის, ხანდისხან ჟურნალიც. სამკითხველოს ადგილი აქვს და საკუთარი პატარა შენობა.

სოფელში კოოპერატივის გახსნაც უნდოდათ მაგრამ ეს საქმე ახლა მივიწყებულია. საჭიროა სოფლის ინტელიგენციამ კოოპერატივი დაარსოს, რადგან დიდი სიძვირეა და სოფელი, ჩარჩების ხელში ძრიელ შეწუხდება.

— **სოფ. ქედა** (ბათომის ოლქი) პირველ ნოემბერს შაინ-ალა ბოლქვაძის მეთაურობით ადგილობრივმა მოხალისეთა რაზმმა მოკლა გამოჩენილი ყაჩაღი ახმედ ნეტი ოღლი, რომელიც 5—6 წელიწადია ხალხს ცარცვამდა და აწუხებდა.

— **ტყიბული.** 30 ოკტომბერს მოხდა ტყიბულის საამხანაგო დუქნის წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა მ. ბოჭორიშვილი კრების მიზანი იყო აერჩიათ გამგეობის წევრები ნაცვლად ბ-ი არაზოვის და ცერცვაძისა და აგრეთვე გაეგოთ სამი თვის დუქნის შემოსავალ გასავალი გამგეობის წევრებათ არჩეულ იქმნენ ერთხმათ მიხეილ და ლადიმერ ბოჭორიშვილები და ილია ფოფხაძე. მომხმარებელ ამხანაგობას ჰყავს ოთხას წევრი და აქვს 15000 მ. ძირითადი თანხა გარდა ამისა საამხანაგო ამ საშინელი სიძვირეში რამდენათაც შეიძლებოდა წევრებს და არა წევრებს სანოვაგე ხელსაყრელ ფასში მიაწოდა სარევიზიო კომისიის გამოანგარიშებით სამი თვის განმავლობაში დუქანის ქონდა 60000 მანეთის ალებ მიცემობა. დარჩენია კიდევ წმინდა მოგება ყოველ ხარჯს გარეთ 1640 მანეთი. მადლობის ღირსნი არიან როგორც გამგეობის წევრები, აგრეთვე კომისიის წევრები ბეჯით შრომისა დამუშავებისათვის მაგრამ განსაკუთრებით დიდი მადლობის ღირსია ბ. მიხეილ კბილაძე, რომელიც არ ზოგავს არავითარ შრომას და ხარჯს ამ ფრიად სიმპატიური დაწესებულების საკეთილდღეოთ.

ნიკიფ. ჩ. ხ. დ.

რუსეთი.

გზათა მიმოსვლის მინისტრს უმაღლეს წრეებში წარუდგენია მოხსენება, რომელშიაც იგი ამბობს; მთავრობას და სათათბიროს შორის მომხდარი უთანხმოება არც ისე საგრძნობია და მათი შერიგება ადვილია; პროგრესიულ ბლოკის დეკლარაცია მიმართული იყო არა საერთოდ მთავრობის, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მინისტრის წინაამდეგათ. ტრეპოვი სათათბიროს დათხოვნის წინაამდეგია, რადგანაც სათათბიროსთან მუშაობა მას შესაძლებლად მიაჩნია.

— შაქრის საქმის მთავარ გამგეს დეიტრიხს ბობრინსკიმ სთხოვა, რომ შაქრის დატუსაღებული მრეწველები გაენთავისუფლებია, მაგრამ უარი მიიღო, რადგანაც ისინი სამხედრო უწყების განკარგულებით დაუტუსაღებიათ.

— სათათბიროს შენობაში 8 ნოემბრისთვის დანიშნული იყო სამხედრო საზღვაო კომისიის კრება, რომელზედაც უნდა განეხილათ ვ. პურიშკევიჩის მოხსენება რუმინიაში მოგზაურობის შესახებ და გზათა მიმოსვლის მინისტრის-ტრეპოვის მოხსენება მურმანის რკინის გზის შესახებ. დანიშნულ დროს მინისტრი მოვიდა თავრიდის სასახლეში და გამოიძახა კომისიის თავმჯდომარე შინგარევი. ამ დროს შინგარევს მიუახლოვდნენ სოციალ-დემოკრატებისა და შრომის ჯგუფის წარმომადგენლები, ცალკე გაიწვიეს და განუცხადეს, რომ ისინი არც ერთ მინისტრთან გარდა სამხედროსი და საზღვაოსი არავისთან არ იმუშავებენ. ეს საკითხი შინგარევმა პროგრეს. ბლოკის ბიუროს გადასცა განსახილველად; ტრეპოვმა წინდაწინვე განუცხადა თურმე: „როგორც სათათბირო დაადგენს ისე მოვიქცევიო“.

უცხოეთი.

ახლო მომავალში ინგლისში მოწვეული იქნება მოკავშირეთა საფინანსო კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: როგორ უნდა დაფარონ მესამე წლის ომით გამოწვეული ხარჯები; საგარეო სესხების მოწყობა და ნეიტრალ ქვეყნებში მოკავშირეთათვის სამხედრო მასალის დამზადება.

— პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ დღემდე არც ერთ ნეიტრალურ სახელმწიფოს ხმა არ ამოუღია და, როგორც გაზეთები ირწმუნებიან, ყველა ომის გათავებას უცდის და მხოლოდ მაშინ გამოაშკარავებენ თავის დამოკიდებულებას ამ საკითხთან.

— „კროიც ცაიტუნგ“-ის ცნობით მოკლე ხანში ქ. პრაგაში მოწვეული იქნება ჩეხელების ყველა პარტიათა შეერთებული კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ჩეხის ავტონომიის პროექტი და მთავრობას მისი განხორციელება მოსთხოვს. ჩეხელები გალიციის მაგალითს ეყრდნობიან.

— როგორც გამოირკვა ფრანც იოსები, მარჯვენა ფილტვის ანთების გამო გარდაიცვალა.

— „უტრო“ როსიას ატყობინებენ სტოკჰოლმიდან, რომ გერმანელები დიდის ყურადღებით კითხულობენ სახ. სათათბირო! ანგარიშებს „ფორვერტს“ მოყავს შუგაევის და როდიჩევის სიტყვები და დასძენს: არავინ იცის როდის გათავდება ომი, მაგრამ სულ ერთია--გერმანიას ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ; დიპლომატია უნდა ცდილობდეს მალე ჩამოაგდონ „საპატიო ზავი“-ო. სხვა გაზეთები შემდეგ კითხვას სვამენ: „ნუთუ რუსეთი თავისით მოითხოვს ომის ბოლომდის გაგრძელებასაო?“

— გერმანელების შკოლის გახსნაზე ვარშავაში გენ. ფონ-ბეზელერს უთქვამს: „ჩვენი მიზანია გერმანული სული არ გაქრეს აქ და გავაცნოთ ადგილობრივ მცხოვრებთ ყველა დადებითი მხარე გერმანელებისა, რომლებიც უმაგალითოდ გექირდესო“.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს. 25	წ.
„	— სალამ.	— 8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით	—12 ს. 40	„
„	— ღამის	— 2 ს. 20	„
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 00	„
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	— დილის	—11 ს. —	„
„	— ღამის	—12 ს. 15	„
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 3	„
„	— დილის	— 5 ს. 55	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისკენ	— დილის	— 8 ს. 13	„
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს. 18	„

დაიბეჭდა

ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა.

ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. ვ. ციფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

სუსუნატი

(გონორეა). № 765

თუ თქვენ იტანჯებით სუსუნატით, იმედს ნუ დაკარგავთ!

არის საშუალება **აკოფიანცის კაპსული „ა“**

აკოფიანცის კაპსული „ა“.

რომლითაც ყველას შეუძლია განიკურნოს, სრულიად ცოტა ხნის განმავლობაში. მოწონებულია ბ.ბ. ექიმებისა და სპეციალისტებისაგან, როგორც ახალი რადიკალური და გაუმჯობესებული საშუალება მაგარ და ქრონიკულ სუსუნატის წინააღმდეგ და აგრეთვე ამ სენისაგან გამოწვევულ ყოველ გვარ შედეგების წინააღმდეგ, როგორც არის: შარდის მილის და ბუშტის ანთება, შარდის შეკავება, კვერცხების ანთება, ფეხების, ხელების, ზურგის ხერხემლის ტკივილები და ტეხა. აკოფიანცის **კაპსული „ა“** ნება დართულია პეტროგრადის სამედიცინო საბჭოსაგან № 765-თ. კაპსული „ა“ ცნობილია, როგორც უვნებელი ადამიანის ორგანიზმისათვის და იხმარება როგორც **მამაკაცების** ისე **დედაკაცების** სამკურნალოთ.

კაპსული „ა“-ს ხმარების დროს არ არის საჭირო არავითარი შეზღუდვა, დაწვა, გამორეცხვა და მილას გაფართოება, აგრეთვე არც კერძო დახმარებაა საჭირო, მხოლოდ საჭიროა კაპსულების ყლაპვა, ასე, რომ ყველას შეუძლია იექიმოს ყოველგვარ პირობებში და მუშაობის დროსაც. აქიმობის დროს არ არის საჭირო რომელიმე საჭმელის დათმობა, მხოლოდ თავი შეიკავეთ მაგარი სასმელებისა და ყოველგვარი ეროტიზმისაგან.

ჩვენი გარანტია ტყუილა ნუ ხარჯავთ ფულს, ვინაიდგან თქვენ რამოდენიმე კოლოფის მიღების შემდეგ შეგიძლიათ მორჩეთ. გთხოვთ არ აურიოთ სხვა წამლებში. ყიდვა შეიძლება ყოველ დროს. აფთიაქებსა და აფთიაქის საწყობებს ეძლევათ საგრძნობი „სკიდკა“.

წინასწარ 3 მანეთის მიღებისთანავე გამოგეგზავნებათ ფასდადებულ ამანათით. წამლობის სრული კურსი 5—8 კოლოფამდე.

ფასი: 1 კოლ. (60 კაპ.) 3 მან. 50 კ. ნახევარი კოლ. (30 კაპ.) 2 მ. 25 კ. ერთი კოლოფის გადაგზავნა 40 კ. ვინც 4 კოლოფზე მეტს გამოიწერს გადაგზავნის ფასი არ გადახდება.

დაკვეთა და წერილების გაგზავნა შეიძლება კავკასიაში მხოლოდ ერთ წარმომადგენელთან **ე. მ. აკოფოვთან**, თბილისი, კრასნოგორის ქუჩა № 3, განყოფილება ბაქოში. ადგილობრივ ავადმყოფთათვის—კრასნოვოდსკის ქუჩა № 52 არ. ავ. მაზიან. ქალაქ გარეშე დამკვეთლებს ვთხოვთ მიმართოს უმთავრეს საწყობში: ტფილისი, კრასნოგორის ქუჩა, **№ 3 ე. მ. აკოფოვს.**

ვამზადებ მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ პილაძის შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ [illegible] ავათმყოფთ რჩევა [illegible] ალექსანდროვის ქუჩა, [illegible] სახლი, ფეიქ[illegible]

ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი.

რომელიც, წესდების § 34-ის თანახმად, მდგომარე 1916 წლის 4 დეკემბერს იწვევს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას გამგეობის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად, უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრად ჩაწერის მსურველთ

დეკემბრის პირველ რიცხვამდი შემოიტანონ განცხადება და წარმოადგინონ საწევრო ფული.

ყოველგვარი ცნობისა და განცხადების დაბეჭდილი ბლანკის მისაღებად უნდა მიმართონ კომიტეტის საზინადარს ა. ი. კრინიცკის დღის 12 საათიდან 2-დი.

(ქ. ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სადგომში).

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ —სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.

ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მოსამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი. ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფათიშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.